



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ინფორმაციული ტექნოლოგიები, ბაკალავრიატი

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 17.02.2023 – 2.03.2023

დასკვნის წარდგენის თარიღი: 24.03.2023

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.....	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა.....	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან	12
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	12
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა.....	19
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	24
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა.....	27
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....	32

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	220407888
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მანანა ხაჩიძე ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაქსიმ იავიჩი კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ გვიანიშვილი ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი დოლიძე ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	ინფორმაციული ტექნოლოგიები
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Information Technologies
უმაღლესი განათლების საფეხური	VI
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაკალავრი Bachelor of Information Technology
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0612 მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი დაადმინისტრირება / Database and Network Design and Administration (0612.1.1 ინფორმაციული ტექნოლოგიები / Information Technologies)
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴

აკრედიტაციის მოპოვების მიზნით წარმოდგენილია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციული ტექნოლოგიები“ (შემდგომში - პროგრამა), რომელიც შემუშავებულია შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - დაწესებულება) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის/შერჩევის, შემუშავების წესის შესაბამისად. პროგრამა განხილულ იქნა საზოგადოებრივ მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტის საბჭოზე (ოქმი #19, 2022 წლის 18 ნოემბერი) და დამტკიცდა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომაზე 2022 წლის 21 ნოემბრის № 84 დადგენილებით. პროგრამის მოცულობაა 240 კრედიტი:

- ✓ სწავლის ძირითადი სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები 150 ECTS
- ✓ სწავლის ძირითადი სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 30 ECTS
- ✓ თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები - 40 ECTS.
- ✓ თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები -20 ECTS.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სსიპ -განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ (ბრძანება MES 2 23 0000094234, 30/01/2023) შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი (დარგის (აკადემიური და ინდუსტრიული) წარმომადგენლები, განათლების ექსპერტი და სტუდენტი-ექსპერტი). ვიზიტი განხორციელდა 16 თებერვალს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები და ფაქტობრივი გარემოებები. ვიზიტი მოიცავდა ინტერვიუებს (მათ შორის on Line ჩართვებს) დაწესებულების ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ (მათ შორის, აფილირებულ) და მოწვეულ პერსონალთან, სხვა სპეციალობის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს დაწესებულების შენობა, ინფრასტრუქტურა, სადაც განხორციელდება პროგრამა, კომპიუტერული ლაბორატორიები, აუდიტორიები და ბიბლიოთეკა. ვიზიტის ბოლოს, ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო ძირითადი მიგნებები.

• საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

სტანდარტი I - შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ (კომპონენტები 1.2. და 1.5 შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, კომპონენტები 1.3 და 1.4 შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“);

სტანდარტი II - შეფასდა როგორც “შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ (კომპონენტები 2.1, 2.2, 2.3, 2.4 შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“);

სტანდარტი III - შეფასდა როგორც “შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“მოთხოვნებთან“ (კომპონენი 3.1 შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; კომპონენი 3.2 არ შეფასდა);

სტანდარტი IV - შეფასდა როგორც “მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ (კომპონენტები 4.1. შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, კომპონენტები 4.3 და 4.5 შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, კომპონენტი 4.4 შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“, კომპონენტი 4.2 არ შეფასდა);

⁴ პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

სტანდარტი V - შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ (5.1 კომპონენტი შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისია მოთხოვნებთან“; 5.2 კომპონენტი შეფასდა როგორც „შესაბამისია მოთხოვნებთან“; 5.3 კომპონენტი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“).

▪ რეკომენდაციები

სტანდარტის კომპონენტისთვის 1.2.

- მოხდეს ცვლილებები სწავლის შედეგების ფორმულირებაში დოკუმენტის „ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების (ICTs) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი“ შესაბამისად;
- განახლებული სწავლის შედეგების შესაბამისად შემუშავდეს და განახლდეს „მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის რუკა“.

სტანდარტის კომპონენტისთვის 1.3.

- რეკომენდებულია დოკუმენტში „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“ გადაიხედოს სწავლის შედეგების შეფასებისთვის განსაზღვრული პროგრამის კომპონენტების რელევანტურობა, ასევე მიეთითოს შეფასების მეთოდები, რომელთა მეშვეობით იქნება შესაძლებელი დაგეგმილი შედეგის მიღწევის დადასტურება.

სტანდარტის კომპონენტისთვის 1.4.

- ძირითად საგანთა ნუსხას დაემატოს ინფორმაციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ფუნდამენტური საგანი;
- საგნები „მონაცემთა დამუშავება SPSS სისტემაში“, „ღრუბლოვანი გამოთვლები“, „ნივთების ინტერნეტი“ გადანაცვლდეს არჩევით საგანთა ბლოკში.

სტანდარტის კომპონენტისთვის 1.5.

- ქსელურ ტექნოლოგიების, მონაცემთა ბაზების, ვებთან დაკავშირებულ საგნები შინაარსობრივად გაფაროვდნენ ცოდნის არის კონცეპტუალური საკითხებით;
- საგნებში „ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები“, „კალკულუსი 1 და 2“, „შესავალი მონაცემთა ბაზებში“ შეირჩეს შესაბამისი შინაარსის და სიახლის სახელმძღვანელო.

სტანდარტის კომპონენტისთვის 4.1.

- პროგრამის მდგრადობისათვის აუცილებელია მოხდეს ადგილობრივი კადრის მოძიება ან/და მოხდეს არსებულ პერსონალთან შრომითი ხელშეკრულების იმ ფორმით ჩამოყალიბება, რომელც არ შეუქმნის პრობლემას პროგრამის განხორციელებას.

სტანდარტის კომპონენტისთვის 4.4.

- შეივსოს საბინლიოთეკო ფონდი პროგრამის შესაბამისი სახელმძღვანელოებით ან/და რიდერებით (ბეჭდური ან/და ელექტრონული).

სტანდარტის კომპონენტისთვის 5.1.

- აუცილებელია პროგრამის გუნდს ჰქონდეს ერთიანი ხედვა როგორც პროგრამის, ასევე პროგრამის მიზნებისთვის შესწავლილი, მომზადებული და გამოყენებული ინფორმაციის შესახებ;
- აუცილებელია პროგრამის პერსონალმა იცოდეს და იყენებდეს დაწესებულებაში მოქმედ ხარისხის უზრუნველყოფის, მათ შორის პროგრამის/პროგრამის კომპონენტის სწავლის შედეგების შეფასების, მექანიზმებს;
- რეკომენდებულია პროგრამის პერსონალისთვის დაიგეგმოს და სისტემატურად ტარდებოდეს საინფორმაციო შეხვედრები/ტრენინგები, მათ შორის პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფისა და შეფასების საკითხებზე;

- აუცილებელია იყოს უზრუნველყოფილი დამსაქმებლებთან და დარგის სხვა სპეციალისტებთან სისტემატური კომუნიკაცია, პროგრამისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში მათი ჩართულობის მექანიზმების ამოქმედება, მიღებული უკუკავშირის შესწავლა და გამოყენება.

სტანდარტის კომპონენტისთვის 5.3.

- რეკომენდებულია შემუშავდეს ხარისხის უზრუნველყოფის სხვადასხვა მექანიზმების გამოყენების გეგმა (სქემა), რომელშიც იქნება მითითებული როდის, რა პერიოდულობით, ვის მიერ და ვისი ჩართულობით განხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ამა თუ იმ მეთოდის გამოყენება და ა.შ.
- რეკომენდებულია განხორციელდეს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს პროგრამების სრულყოფას, ინტერნაციონალიზაციას და გაცვლითი პროგრამების განხორციელების შესაძლებლობას.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სტანდარტის კომპონენტისთვის 1.3.

- მიზანშეწონილია შემუშავდეს და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს მიეწოდოს ინსტრუქცია, რომელშიც იქნება დეტალურად აღწერილი პროგრამის სწავლის შედეგებისთვის სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის წესი და თავისებურებები.

სტანდარტის კომპონენტისთვის 2.1.

- სასურველია ერთიანი ეროვნული გამოცდების კომპეტენციის ზღვარი მათემატიკასა ან/და ფიზიკაში აღმატებოდეს მინიმალურს და შესაბამისი ჩანაწერი გაკეთდეს პროგრამაში.

სტანდარტის კომპონენტისთვის 2.3.

- სასურველია სილაბუსების სალექციო გეგმაში, ყოველი თემის შესაბამისად ცხადად მიეთითოს სასწავლო მასალა, თავებისა და გვერდების მითითებით.

სტანდარტის კომპონენტისთვის 4.1.

- სასურველია კანონმდებლობით ნებადართული ელექტრონული სწავლების შესაძლებლობის ფარგლებში, დაწესებულებაში მოქმედი ელექტრონული სწავლების მეთოდოლოგიისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენებით შემუშავდეს პროგრამის განხორციელების პროცესში ელექტრონული სწავლებისა და დანერგვისა და გამოყენების ხედვა.

სტანდარტის კომპონენტისთვის 5.1.

- მიზანშეწონილი პროგრამის დაგეგმვის და შეფასების მომწესრიგებელ და სხვა დოკუმენტებში (მათ შორის, პროგრამის კურიკულუმში) დროულად დაკორექტირდეს და გამოირიცხოს დღეისათვის გაუქმებული ტერმინების გამოყენება (მაგ., პროგრამის შედეგები „ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, დასკვნის უნარი, კომუნიკაციის უნარი, სწავლის უნარი, ღირებულებები“, „სპეციალობა“, „დამატებითი სპეციალობა“, „ძირითადი სპეციალობა/საგანმანათლებლო პროგრამა“ და სხვ.);
- მიზანშეწონილია დროულად განახლდეს დაწესებულების ვებგვერდზე (<http://www.zssu.ge/zssu2/node/37>) განთავსებული, უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები;
- მიზანშეწონილია მოხდეს პროგრამის განხორციელებასა და მდგრადობასთან დაკავშირებული რისკების (პროგრამის ადამიანური რესურსების ნაწილში) შეფასება (რისკის ალბათობა, გავლენის ხარისხი, შესაძლო შედეგები) და მათი პრევენციის/მინიმალიზაციის მექანიზმების/გეგმის შემუშავება და ამოქმედება.

სტანდარტის კომპონენტისთვის 5.2.

- მიზანშეწონილია პროგრამის გარე შეფასება განახორციელოს რამდენიმე გარე შემფასებელმა, მათ შორის კურსდამთავრებულთა პოტენციურმა დამსაქმებლებმა, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სხვადასხვა ჭრილში შეფასების შესაძლებლობას, მიღებული შედეგების ვალიდურობას და მათ გამოყენებას პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.

▪ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵**

▪ **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პასუხში მითითებული დასაბუთებები და ჩამოყალიბდა შემდეგზე:

▪ სტანდარტის 1.2. კომპონენტისთვის გაცემული ორი რეკომენდაცია:

რეკომენდაცია 1 - “*მოხდეს ცვლილებები სწავლის შედეგების ფორმულირებაში დოკუმენტის „ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების (ICTs) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი“ შესაბამისად.*“

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პასუხში წარმოდგენილი „მექანიკურად გაპარული შეცდომის“ აღმოფხვრა მეტწილად დააკმაყოფილებს რეკომენდაციას. თუმცა აუცილებლად საჭიროებს გარკვეულ კორექტირებას - შედეგებში არ შეიძლება ასახული იყოს სხვა კვალიფიკაციაზე გასვლის შედეგი (შედეგი 1. „გააჩნია ინფორმაციული სისტემებისა და ტექნოლოგიების სფეროს შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა“), რადგან ინფორმაციული სისტემები და ინფორმაციული ტექნოლოგიები ერთიდაიგივე წონის სხვადასხვა კვალიფიკაციაა.

რეკომენდაცია 2 - „*განახლებული სწავლის შედეგების შესაბამისად შემუშავდეს და განახლდეს „მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის რუკა“.* დაწესებულება არ იზიარებს რეკომენდაციას სწავლის შედეგების რუკის განახლების შესახებ. პირველი რეკომენდაციიდან გამომდინარე - ეს აუცილებელია.

▪ სტანდარტის 1.3. კომპონენტისთვის გაცემული რეკომენდაცია:

რეკომენდაცია 1 - „*რეკომენდებულია დოკუმენტში „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“ გადაიხედოს სწავლის შედეგების შეფასებისთვის განსაზღვრული პროგრამის კომპონენტების რელევანტურობა, ასევე მიეთითოს შეფასების მეთოდები, რომელთა მეშვეობით იქნება შესაძლებელი დაგეგმილი შედეგის მიღწევის დადასტურება“.* რეკომენდაცია გარკვეულწილად გაზიარებულია დაწესებულების მიერ - არგუმენტირებული პასუხის თანახმად, „ეს გახლავთ ტექნიკური ხასიათის კორექტირება, რაშიც ვეთანხმებით ექსპერტებს და წარმოდგენილ სწავლის შედეგების შეფასების გეგმას დაემატა ერთი გრაფა, სადაც განსაზღვრულია ის კონკრეტული დავალება, რომლის მეშვეობითაც მოხდება სწავლის შედეგზე დაკვირვება“. ექსპერტთა ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას გაეცნოს, შეაფასოს და გაითვალისწინოს ვიზიტის შემდგომ შექმნილი/კორექტირებული დოკუმენტი. აქვე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ უნდა გადაიხედოს სწავლის შედეგების შეფასებისთვის განსაზღვრული პროგრამის კომპონენტების რელევანტურობა და არ იზიარებს არგუმენტირებულ პასუხში მითითებულ მოსაზრებას, რომ სასწავლო კურსები

⁵ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

„აკადემიური წერა“, „ინგლისური ენა 2“ და „ინგლისური ენა 3“ შეიძლება იყოს მიჩნეული გამადრ-
მავებელ კურსებად ისეთი სწავლის შედეგებისთვის, როგორცაა, მაგ.: „გააჩნია ინფორმაციული
სისტემებისა და ტექნოლოგიების სფეროს შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა“
(„აკადემიური წერა“), „გაიაზრებს და კრიტიკულად აანალიზებს ინფორმაციისა და კომუნიკაციის
ტექნოლოგიების, ფუნდამენტური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ძირითად პრინციპებს“
(„ინგლისური ენა 2“; „კალკულუსი 2“), „აიდენტიფიცირებს და განსაზღვრავს ინფორმაციული
ტექნოლოგიების მიმართულებით არსებულ პრობლემებს“ („ინგლისური-3“).

▪ სტანდარტის 1.5. კომპონენტისთვის გაცემული ორი რეკომენდაცია:

რეკომენდაცია 1 – „ძირითად საგანთა ნუსხას დაემატოს ინფორმაციის უსაფრთხოებასთან
დაკავშირებული ფუნდამენტური საგანი“;

რეკომენდაცია 2 – „საგნები „მონაცემთა დამუშავება SPSS სისტემაში“, „დრუბლოვანი გამოთვლები“,
„ნივთების ინტერნეტი“ გადანაცვლდეს არჩევით საგანთა ბლოკში“.

პირველი რეკომენდაცია გაზიარებულია დაწესებულების მიერ. მეორე რეკომენდაციას დაწესებულება
არ იზიარებს, რაც არგუმენტირებულია კურსების აქტუალურობით, რაც არ შეიძლება ჩაითვალოს
არგუმენტად, რადგან აქტუალურობა ლოკალურ დონეზე არ გულისხმობს საბაზისო ცოდნის არეს,
რაც განსაზღვრულია საერთაშორისო სტანდარტით.

▪ სტანდარტის 4.1. კომპონენტისთვის გაცემული რეკომენდაცია:

რეკომენდაცია 1 – „პროგრამის მდგრადობისათვის აუცილებელია მოხდეს ადგილობრივი კადრის
მოძიება ან/და მოხდეს არსებულ პერსონალთან შრომითი ხელშეკრულების იმ ფორმით
ჩამოყალიბება, რომელც არ შეუქმნის პრობლემას პროგრამის განხორციელებას.“

დაწესებულება არ იზიარებს რეკომენდაციას. ფაქტობრივი მდგომარეობის შესაბამისად დარგის
შესაბამისი აკადემიური პერსონალი (ერთის გარდა, რომლის კავშირი საინფორმაციო
ტექნოლოგიებთან არ დასტურდება არსებული მონაცემებით) და მოწვეული პერსონალის
უმრავლესობა დასაქმებულია ამავედროულად თბილისში, როგორც აკადემიური პერსონალი
სხვადასხვა დაწესებულებებში და ასევე გააჩნიათ სხვა დატვირთვებიც. აკადემიური პერსონალი,
პოზიციების მიხედვით წარმოდგენილია ასოცირებული პროფესორების (5 პიროვნება, მათგან ერთი
არადარგობრივია) და ასისტენტების სახით (4 პიროვნება). კანონმდებლობის შესაბამისად
ასისტენტებს არ აქვთ დამოუკიდებლად სალექციო მეცადინეობების წამდოლის უფლება (კანონი
„უმაღლესი განათლების შესახებ“, მუხლი 33, პუნქტი 3). აქედან გამომდინარე ძირითადად რჩება 4
ასოცირებული პროფესორი, რომლებიც სხვაგან არიან დასაქმებული (თბილისში). დაწესებულებაში
მქმედი წესების თანახმად საშუალო კვირეული დატვირთვა წარმოადგენს 9 სააუდიტორიო საათს.
რაც სულ მცირე ორ სამუშაო დღეს შეესაბამება. ამ ფაქტორების გათვალისწინებით წარმოდგენილი
აკადემიური პერსონალის მიერ ფიზიკურად სასწავლო პროცესში მონაწილეობის მიღება
(ყოველკვირეულად) ექსპერტთა ჯგუფს შეუძლებლად მიაჩნია.

▪ სტანდარტის 4.4. კომპონენტისთვის გაცემული რეკომენდაცია:

რეკომენდაცია 1 – „შეივსოს საბიბლიოთეკო ფონდი პროგრამის შესაბამისი სახელმძღვანელოებით
ან/და რიდერებით (ბეჭდური ან/და ელექტრონული)“.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პასუხი ბუნდოვანია, გაურკვეველი რა პოზიცია აქვს
დაწესებულებას უშუალოდ რეკომენდაციასთან დაკავშირებით.

▪ სტანდარტის 5.1. კომპონენტისთვის გაცემული რეკომენდაციები:

რეკომენდაცია 1 – „აუცილებელია პროგრამის გუნდს ჰქონდეს ერთიანი ხედვა როგორც პროგრამის,
ასევე პროგრამის მიზნებისთვის შესწავლილი, მომზადებული და გამოყენებული ინფორმაციის

შესახებ“. დაწესებულების არგუმენტირებული პასუხის თანახმად, „ინფორმაციები მომზადდა ერთიანი ძალისხმევით და გუნდის მოტივაცია და ხედვა არის ერთიანი - პროგრამის შედეგებზე გასვლისათვის მაქსიმალური ძალისხმევა და მხარდაჭერა, რაც დადასტურდა ინტერვიუების პროცესში““. ექსპერტები ეჭვქვეშ არ აყენებენ პროგრამის გუნდის მოტივაციას. რეკომენდაციის საფუძველი გახდა ის გარეობა, რომ ზუსტად ინტერვიუს დროს პროგრამის წარმომადგენლების მიერ (პროგრამის ხელმძღვანელები, განმახორციელებლები) რიგ შემთხვევაში იყო გაცემული ურთიერთგამომრიცხავი პასუხები იმ საკითხებზე, რომლებიც უნდა ყოფილიყო მათთვის ცნობილი პროგრამის შემუშავების ეტაპზე, მაგალითად: რა იყო გათვალისწინებული ანალოგი პროგრამების შესწავლის შედეგად (იხ. *თვითშეფასების ანგარიში*, გვ. 9 - „სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას, გათვალისწინებულა ... უცხოეთისა და ჩვენი ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებების საუკეთესო პრაქტიკა“); როგორია პროგრამის სასწავლო კურსების მონაწილეობა პროგრამის შედეგების ფორმირებაში და პროგრამის შედეგების შეფასების მექანიზმები (იხ. „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, სწავლის შედეგების შეფასება“, მ.3 - „პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის დადგინდა სამიზნე ნიშნული, რომელიც ასახავს მოლოდინს, თუ რა დონით მიაღწევენ სტუდენტები თითოეულ სწავლის შედეგს“) და ა.შ. აღნიშნული მეტყველებდა ინტერვიუში მონაწილე პირებთან არასაკმარის ინფორმირებაზე.

რეკომენდაცია 2 - „აუცილებელია მოხდეს პროგრამის განხორციელებასა და მდგრადობასთან დაკავშირებული რისკების (პროგრამის ადამიანური რესურსების ნაწილში) შეფასება (რისკის ალბათობა, გავლენის ხარისხი, შესაძლო შედეგები) და მათი პრევენციის/მინიმალიზაციის მექანიზმების/გეგმის შემუშავება და ამოქმედება“. რეკომენდაცია გადატანილია რჩევებში, რადგან სხვა სტანდარტის კომპონენტში (4.1.) გაცემული რეკომენდაციის შესრულების შემთხვევაში პერსონალთან დაკავშირებული რისკების შეფასება მიიღებს დამატებითი მექანიზმის ხასიათს. შესაბამისად, რჩევა: „მიზანშეწონილია მოხდეს პროგრამის განხორციელებასა და მდგრადობასთან დაკავშირებული რისკების (პროგრამის ადამიანური რესურსების ნაწილში) შეფასება (რისკის ალბათობა, გავლენის ხარისხი, შესაძლო შედეგები) და მათი პრევენციის/მინიმალიზაციის მექანიზმების/გეგმის შემუშავება და ამოქმედება“;

რეკომენდაცია 3 - „აუცილებელია პროგრამის პერსონალმა იცოდეს და იყენებდეს დაწესებულებაში მოქმედ ხარისხის უზრუნველყოფის, მათ შორის პროგრამის/პროგრამის კომპონენტის სწავლის შედეგების შეფასების, მექანიზმებს“. ექსპერტთა ჯგუფი არ უარყოფს დასკვნის პროექტში და დაწესებულების არგუმენტირებულ პასუხში მითითებულ გარემოებებს: „დაწესებულებაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ქმნის პროგრამების შეფასების და განვითარების შესაძლებლობას“, „არსებობს პროგრამის პერსონალის მზაობა და მოტივაცია ჩაერთოს პროგრამის განხორციელებაში“ და „ვებგვერდის მეშვეობით უზრუნველყოფილია დაწესებულებაში მოქმედი წესების, მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის, მექანიზმებისა და პროცედურების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და გამჭვირვალობა“. ასევე, ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა და დასკვნის პროექტში თავად მიუთითა ის ფაქტი, რომ პროგრამა ახალია და პროგრამის პერსონალს შეიძლება არ ჰქონოდა ინფორმაცია ხარისხის უზრუნველყოფის ყველა მექანიზმის შესახებ. გაცემული რეკომენდაციის საფუძველი გახდა ის გარემოება, რომ პროგრამის პერსონალს არ ჰქონდა მკაფიო წარმოდგენა იმ მექანიზმების შესახებ, რომლებიც წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად იყო მათ მიერ გამოყენებული პროგრამის შემუშავების ეტაპზე. ასევე, გარკვეულ კითხვას ბადეს როგორ იყო მათ მიერ გამოყენებული ის მექანიზმი, რომლის შესახებ ვერ შეძლეს საუბარი (იხ. *თვითშეფასების ანგარიში*, გვ. 11 - „პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის“; დოკუმენტი „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, სწავლის შედეგების შეფასება“, მ.3. - „პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის დადგინდა სამიზნე ნიშნული, რომელიც ასახავს მოლოდინს, თუ რა დონით მიაღწევენ სტუდენტები თითოეულ სწავლის შედეგს“).

რეკომენდაცია 4 - „რეკომენდებულია პროგრამის პერსონალისთვის დაიგეგმოს და სისტემატურად ტარდებოდეს საინფორმაციო შეხვედრები/ტრენინგები, მათ შორის პროგრამის ხარისხის

უზრუნველყოფისა და შეფასების საკითხებზე“. ექსპერტთა ჯგუფი არ უარყოფს დასკვნის პროექტში და დაწესებულების არგუმენტირებულ პასუხში მითითებულ გარემოებას: „ვებგვერდის მეშვეობით უზრუნველყოფილია დაწესებულებაში მოქმედი წესების, მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის, მექანიზმებისა და პროცედურების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და გამჭვირვალობა“. თუმცა, დოკუმენტების ხელმისაწვდომობა ვებგვერდის მეშვეობით არ აღმოჩნდა საკმარისი იმისთვის, რომ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს ჰქონოდა საკმარისი ცოდნა თუნდაც იმ მექანიზმების შესახებ, რომლებიც დოკუმენტების თანახმად მათ მიერ იყო გამოყენებული პროგრამის შემუშავების ეტაპზე, რაც მეტყველებს დამატებითი საინფორმაციო შეხვედრების/ტრენინგების ჩატარების აუცილებლობაზე.

რეკომენდაცია 5 - „*აუცილებელია იყოს უზრუნველყოფილი დამსაქმებლებთან და დარგის სხვა სპეციალისტებთან სისტემატური კომუნიკაცია, პროგრამისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში მათი ჩართულობის მექანიზმების ამოქმედება, მიღებული უკუკავშირის შესწავლა და გამოყენება*“. ექსპერტთა ჯგუფი არ უარყოფს, რომ დაინტერესებული მხარეების დამოკიდებულებების კვლევის საკითხი მოწესრიგებულია ამ მიზნით შემუშავებული რეგულაციის დონეზე, რაზეც ასევე მიუთითებს დაწესებულება არგუმენტირებულ პასუხში. საუბარია იმაზე, რასაც თავად დაწესებულება მნიშვნელოვან გარემოებად მიიჩნევს - თვითშეფასების ანგარიშის (იხ. გვ. 5) თანახმად, „*განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო დამსაქმებლების რეკომენდაციები სასწავლო კურსებთან, ლიტერატურასთან, სასწავლო დატვირთვისა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით*“. ამავდროულად, ინტერვიუში მონაწილე რამდენიმე დამსაქმებლიდან, რომლებიც თავად დაწესებულებამ მოიწვია ექსპერტებთან შეხვედრაზე, მხოლოდ ერთმა პოტენციურმა დამსაქმებელმა (სკოლის დირექტორმა) დაადასტურა, რომ იცნობდა პროგრამას და დაესწრო რამდენიმე შეხვედრებს. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია მიმართულია იმ მექანიზმის ამოქმედებაზე/გამოყენებაზე, რომელსაც თავად დაწესებულება მნიშვნელოვნად მიიღწევს და რისი შესრულება ამ ეტაპზე არ დასტურდება. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, დასკვნის პროექტში გაცემული რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

▪ სტანდარტის 5.3. კომპონენტისთვის გაცემული რეკომენდაციები:

რეკომენდაცია 1 - „*რეკომენდებულია შემუშავდეს ხარისხის უზრუნველყოფის სხვადასხვა მექანიზმების გამოყენების გეგმა (სქემა), რომელშიც იქნება მითითებული როდის, რა პერიოდულობით, ვის მიერ და ვისი ჩართულობით განხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ამა თუ იმ მეთოდის გამოყენება და ა.შ.*“. არნიშულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულებას არგუმენტირებულ პასუხში პოზიცია დაფიქსირებული არ აქვს. დასკვნის პროექტში გაცემული რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

რეკომენდაცია 2 - „*რეკომენდებულია განხორციელდეს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს პროგრამების სრულყოფას, ინტერნაციონალიზაციას და გაცვლითი პროგრამების განხორციელების შესაძლებლობას*“. არნიშულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულებას არგუმენტირებულ პასუხში პოზიცია დაფიქსირებული არ აქვს. დასკვნის პროექტში გაცემული რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

▪ **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

-

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შესაფასებლად წარმოდგენილი „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) მიზნები, ჩამოყალიბებულია ორ ნაწილად - განზოგადოებრილი ფრაზებით და სფეროს კონრეტული ცოდნის არეების ჩამონათვალის სახით.

„საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს კონკურენტუნარიანი მაღალი დონის სპეციალისტები იმ ფართო თეორიული ცოდნით და პრაქტიკაზე ორიენტირებული, ტრანსფერული უნარ-ჩვევებით, რაც აუცილებელია თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში, როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო დასაქმების ბაზარზე პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად:

- მონაცემთა უსაფრთხოდ მიღების, დამუშავების, გადაცემის და ანალიზის პროგრამული უზრუნველყოფის, საკომუნიკაციო ქსელისა და კომპიუტერული სისტემების გამოყენება;
- თანამედროვე მოთხოვნებზე ადაპტირებული კომპიუტერული ქსელების აგება, სამომხმარებლო პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა, მონაცემთა ბაზების მართვის სისტემების დაპროექტება, პროგრამული და აპარატურული სისტემების ადმინისტრირება და სერვისული მომსახურება;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში არსებული ამოცანების და პრობლემების გადაჭრა ეთიკური და სოცალური პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, როგორც ინდივიდუალურად, ასევე გუნდურ გარემოში.“

პროგრამის მიზანი შეესაბამება დაწესებულების მისიას. მთლიანობაში პროგრამის მიზნების აღწერაში გათვალისწინებულია სწავლის სფეროს, საფეხურისა და პროგრამის თავისებურებები, რომლებიც ინფორმაციული ტექნოლოგიებისთვისაა დამახასიათებელი. ასევე, ცალსახადაა მითითებული ცოდნა, უნარები და კომპეტენციები, რომელიც ექნება ამ პროგრამის კურსდამთავრებულებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის :

- -

შეფასება:

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი პროგრამის აღწერის შესაბამისად სწავლების შედეგები მოცემულია 9 პუნქტით:

1. **გააჩნია** ინფორმაციული სისტემებისა და ტექნოლოგიების სფეროს შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა.
2. **გაიაზრებს** და კრიტიკულად **ანალიზებს** ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების, ფუნდამენტური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ძირითად პრინციპებს
3. **აიდენტიფიცირებს** და **განსაზღვრავს** ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით არსებულ პრობლემებს
4. **იყენებს** ინფორმაციულ ტექნოლოგიებს, მულტიმედია სისტემებს, კომპიუტერულ სისტემებს და ქსელებს, პროგრამული ინჟინერიის და ვებ-ტექნოლოგიების პროგრამულ და ინსტრუმენტულ საშუალებებს მის წინაშე დასმული პრობლემების გადასაჭრელად;
5. ცოდნისა და ანალიზის საფუძველზე **აფასებს** კომპიუტერული სისტემის მდგომარეობას;
6. **ახორციელებს** პრაქტიკული ხასიათის პროექტს, წინასწარ განსაზღვრული მითითებების და პირობების შესაბამისად;
7. **ამზადებს** დეტალურ წერილობით ანგარიშს ან პრეზენტაციას იდეების, არსებული პრობლემებისა, მათი გადაჭრის გზების შესახებ და გადასცემს ინფორმაციას ზეპირად ან/და წერილობით, კომუნიკაციის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.
8. საკუთარ სწავლის პროცესის თანმიმდევრული და მრავალმხრივი დაკვირვების საფუძველზე **ადგენს** სწავლის საჭიროებებს, **ითვალისწინებს** შექმნილ გარემოსა და პრიორიტეტებს, მონაწილეობას იღებს დარგის განვითარებაში.
9. **იცავს** სფეროში პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ეთიკის ნორმების დაცვით და უზიარებს სხვებს;

სწავლის შედეგების არწერა არ ითვალისწინებს დოკუმენტს „ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების (ICTs) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი“, რომელიც მიუხრდავად იმისა, რომ სარეკომენდაციო ხასიათისაა, მკაფიოდ განსაზღვრავს სწავლის შედეგებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. დარგის სპეციფიკისად გამომდინარე, საერთაშორისო სტანდარტების დაცვა მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის შესაბამის დონეზე დარგის გათვალისწინებისათვის.

პირველივე შედეგის აღწერაში ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან ერთად მითითებულია „ინფორმაციული სისტემები“ (რიგითობით პირველად), რომლებიც ცალკე კვალიფიკაციის სახითაა წარმოდგენილი მოქმედ „სწავლის სფეროების კლასიფიკატორში“.

მეორე შედეგის აღწერაში ყურადღება გამახვილებულია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ძირითადი პრონციპების შესახებ მაშინ, როდესაც პროგრამაში შესაბამისი სასწავლო კურსები არაა.

მეოთხე შედეგში ერთიან ჩამონათვალშია მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი ვიწრო სფერო და ამ სფეროს შესაბამისი ცოდნის გარკვეული არეები. ამასთან ნახსენებია ცოდნის არე მულტიმედია სისტემები, რომლის შესაბამისი საგანი პროგრამაში არაა.

მეექვსე შედეგი საერთოდ არ აკონკრეტებს სწავლების სფეროს.

პროგრამაში წარმოდგენილია პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა, რომელიც არსებული ფორმულირებისათვის შეიძლება მიჩნეულ იქნას მისაღებად, მაგრამ აუცილებელია სწავლის შედეგების სხვაგვარად ფორმულირება, რაც თავისმხრივ გამოიწვევს შესაბამისობის ცვლილებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა (დანართი 1.2, 1.12).

რეკომენდაციები:

- მოხდეს ცვლილებები სწავლის შედეგების ფორმულირებაში დოკუმენტის „ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების (ICTs) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი“ შესაბამისად;
- განახლებული სწავლის შედეგების შესაბამისად შემუშავდეს და განახლდეს „მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის რუკა“.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- -

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებს და მათ გამოყენებას არეგულირებს დაწესებულების მიერ წარმოდგეილი დოკუმენტები „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ (აღწერს საუნივერსიტეტო მიდგომებს სწავლის შედეგების შეფასებისადმი, მექანიზმებს, რითიც ხდება სწავლის შედეგების შეფასება და სხვ.) და „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი“ (აღწერს პროგრამის შედეგების შეფასების კომპონენტებს, ვადებს და სხვ.).

დაწესებულებაში მოქმედი წესების თანახმად, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით:

- არაპირდაპირი შეფასების მეთოდი გულისხმობს სტუდენტის/კურსდამთავრებულის თვითშეფასებას, დამსაქმებლის მიერ სტუდენტის/კურსდამთავრებულის შეფასებას, პროგრამის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის პროგრამაზე დაკვირვებას, პროგრამის განმახორციელებლების, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, პრაქტიკის ხელმძღვანელის გამოკითხვას და ა.შ. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით შემუშავდება კითხვარი, რომელშიც მიეთითება პროგრამის სწავლის შედეგები. ამ კითხვარის მეშვეობით სტუდენტი აფასებს, თუ რა დონეზე მიაღწია ამა თუ იმ სწავლის შედეგს (ანუ ახდენს თვითშეფასებას). იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის სტუდენტთა რაოდენობა ძალიან დიდია, ხდება შემთხვევითი შერჩევის პრინციპით მათი ნაწილის გამოკითხვა. ანალოგიური კითხვარი მიეწოდება დამსაქმებლებსაც. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. აკრედიტაციაზე წარდგენილი პროგრამა ახალია, რაც გამორიცხავს ამ ეტაპზე მითითებული მექანიზმების გამოყენებას, ხოლო მოქმედი პროგრამების შემთხვევაში შეუძლებელია ამ მეთოდის გამოყენების დადასტურება/უარყოფა დოკუმენტირებული ინფორმაციის არარსებობის გამო.
- პირდაპირი შეფასების მეთოდებს მიეკუთვნება პროგრამის სწავლის შედეგებისთვის სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა და მიღწეულ შედეგთან დადარება-ანალიზი. სამიზნე ნიშნულებზე, როგორც პროგრამის შედეგების შეფასების ეფექტიან მექანიზმზე, დეტალურად ისაუბრა დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა, რომელმაც აღწერა ამ მექანიზმის გამოყენების წესი: პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის შეფასება ხდება პროგრამის დასრულების შემდეგ და ეფუძნება პროგრამის იმ სასწავლო კურსების შეფასებას, რომლებშიც კურიკულუმის რუკის მიხედვით ხდება პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცება. ასევე, შეფასების ეს მეთოდი გამოიყენება პროგრამის კომპონენტების დონეზე (შესაბამისი სემესტრის დასრულებისთანავე) - ამ შემთხვევაში მოწმდება მიაღწიეს თუ არა სტუდენტებმა დაგეგმილ სწავლის შედეგებს შესრულებული დავალებების (ტესტი, პრაქტიკული/თეორიული დავალება და/ან სხვ.) მეშვეობით. თვითშეფასების ანგარიშის (გვ. 11) თანახმად: „პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის. პროგრამის ხელმძღვანელი ქმნის მონიტორინგის ჯგუფს ფაკულტეტის ხარისხთან და აკადემიურ პერსონალთან ერთად და მათი ჩართულობით მოხდება სწავლის შედეგების შეფასება და სამიზნე ნიშნულებთან დადარება, რასაც მოჰყვება ანალიზის პროცესი, მიგნებების გამოკვეთა, დასკვნების გაკეთება და შესაბამისი რეკომენდაციებისა და რჩევების გაცემა. შემდეგ რეაგირება, მიღებული შედეგების ანალიზი. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის განსავითარებლად, რაც საჭიროების შემთხვევაში პროგრამის მოდიფიცირებას გულისხმობს“. აკრედიტაციაზე წარდგენილი პროგრამა ახალია, რაც გამორიცხავს ამ ეტაპზე მითითებული მექანიზმის გამოყენებას, ხოლო მოქმედი პროგრამების შემთხვევაში შეუძლებელია მისი გამოყენების დადასტურება/უარყოფა დოკუმენტირებული ინფორმაციის არარსებობის გამო.

უშუალოდ პროგრამისთვის შემუშავებულ დოკუმენტში „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“ მითითებულია, რომ „პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი პროგრამის დასასრულს უნდა შეფასდეს, რაც საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ, რომ პროგრამის დასრულებისას სტუდენტებმა მიაღწიეს პროგრამის სწავლის შედეგებს და, შესაბამისად, პროგრამის მიზნები მიღწეულია“. მითითებული დოკუმენტი მოიცავს ინფორმაციას პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების ურთიერთშესაბამისობის შესახებ, კურიკულუმის ანალიზს (თითოეული სწავლის შედეგისთვის მითითებულია შედეგის ფორმირებაში მონაწილე კურსები და მათი მონაწილეობის დონე (გაცნობა, გაღრმავება/განმტკიცება)) და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სქემას (თითოეული სწავლის შედეგისთვის მითითებულია შეფასების გრაფიკი/ცხრილი (სემესტრები), პროგრამის კომპონენტები, რომელთა მეშვეობით უნდა მოხდეს შედეგის მიღწევის შეფასება და სამიზნე ნიშნული (სტუდენტთა რაოდენობა (%), რომლებიც მიიღებენ A/B/C/D/E/Fx/F შეფასებებს. მაგ.,

10% - „A“-ფრიადი, 25% - „B“-ძალიან კარგი, 30% - „C“-კარგი, 20% - „D“-დამაკმაყოფილებელი, 10% - „E“-საკმარისი, 5% - (F) - ჩაიჭრა). ამავე დოკუმენტში არსებული ჩანაწერის თანახმად: „აკადემიური მოსწრების ანალიზით დადგინდება, რამდენად რთული ან მარტივია სასწავლო კურსის პროგრამა, რამდენად სწორადაა შერჩეული სალექციო თემატიკა, რამდენად ადეკვატურადაა შეფასების ფორმები გამოყენებული პედაგოგების მიერ, როგორია სტუდენტთა მომზადების დონე“. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპად მიიჩნევა მიღებული შედეგების ანალიზი და ამის საფუძველზე პროგრამის გაუმჯობესება, რაც გულისხმობს მიღებული მაჩვენებლების და დაგეგმილი სამიზნე ნიშნულების შედარებას და იმის დადგენას, თუ რამდენად შეესაბამება მიღწეული სწავლის შედეგი დაგეგმილ მაჩვენებელს. ცდომილების შემთხვევაში სხდება ცდომილების გამომწვევი მიზეზების დადგენა, მათ შორის გამოიყენება სტუდენტებთან უკუკავშირი, ხდება სასწავლო კურსების გადახედვა, რომლებიც ავითარებენ აღნიშნულ სწავლის შედეგ(ებ)ს, შეიძლება განხორციელდეს ცვლილებები სასწავლო კურსის შინაარსში, მის წინაპირობებში და ა.შ. ასევე, შეიძლება განხორციელდეს ცვლილებები სასწავლო კურსების შესწავლის თანმიმდევრობაში, პროგრამას დამატოს ახალი სასწავლო კურს(ებ)ი, შეიცვალოს სტუდენტთა საკონსულტაციო სერვისები, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებში და ა.შ. განხორციელებული ანალიზი და ანალიზის შედეგად მიღებული ცვლილებები აისახება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიშში.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით შემუშავებულ წესთან დაკავშირებით აღსანიშნავია შემდეგი:

- პროგრამის შედეგების შეფასებისა და სამიზნე ნიშნულების განსაზღვრისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ სასწავლო კურსის მითითება. აუცილებელია, ასევე, შეფასების იმ მეთოდის განსაზღვრა (მაგ., თეორიული/პრაქტიკული დავალება, სხვ.), რომლის მეშვეობით მოხდება შედეგის მიღწევის დადასტურება;
- გარკვეულ გაუგებლობას იწვევს პროგრამის რამდენიმე შედეგის შეფასების კომპონენტად და სამიზნე ნიშნულების განმსაზღვრელად მითითებული ცალკეული სასწავლო კურსები, მაგ.:
 - შედეგი „გააჩნია ინფორმაციული სისტემებისა და ტექნოლოგიების სფეროს შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა“ - მითითებულია „აკადემიური წერა“;
 - შედეგი „გაიაზრებს და კრიტიკულად აანალიზებს ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების, ფუნდამენტური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ძირითად პრინციპებს“ - მითითებულია „ინგლისური ენა 2“ და „კალკულუსი 2“;
 - შედეგი „აიდენტიფიცირებს და განსაზღვრავს ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით არსებულ პრობლემებს“ - მითითებულია „ინგლისური-3“.

ზემოთ აღნიშნული გარემოებები, ასევე ინტერვიუს დროს პროგრამის გუნდისთვის შედეგების შეფასების მექანიზმების შესახებ დასმულ კითხვაზე მკაფიო პასუხის ვერ მიღება მეტყველებს პროგრამის განმახორციელებლებისთვის დამატებითი ინფორმაციის მიწოდების საჭიროებაზე. ასევე, ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებისთვის მითითებული პროგრამის კომპონენტების რელევანტურობა, ასევე მიეთითოს ამ კომპონენტებში გამოყენებული შეფასების მეთოდები, რომელთა მეშვეობით იქნება შესაძლებელი დაგეგმილი შედეგის მიღწევის დადასტურება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის კურიკულუმი;
- „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
- „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია დოკუმენტში „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“ გადაიხედოს სწავლის შედეგების შეფასებისთვის განსაზღვრული პროგრამის კომპონენტების რელევანტურობა, ასევე მიეთითოს შეფასების მეთოდები, რომელთა მემშვეობით იქნება შესაძლებელი დაგეგმილი შედეგის მიღწევის დადასტურება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- მიზანშეწონილია შემუშავდეს და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს მიეწოდოს ინსტრუქცია, რომელშიც იქნება დეტალურად აღწერილი პროგრამის სწავლის შედეგებისთვის სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის წესი და თავისებურებები.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
------------	------------------------------	---------------------------------------	---	-------------------------------------

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
---	--------------------------	-------------------------------------	--------------------------	--------------------------

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულებას შემუშავებული აქვს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის/შერჩევის, შემუშავების წესი, რომლის საფუძველზეც შექმნილია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციული ტექნოლოგიები“ (შემდგომში - პროგრამა).

მთლიანობაში პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია და შინაარსით უფრო მეტად შეესაბამება „ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების (ICTs) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელში“ აღწერილ სწავლის შედეგებს, ვიდრე უშუალოდ პროგრამაში წარმოდგენილს, რადგან მასში არაა რიგი საგნები რომლებიც პროგრამის სწავლის შედეგებშია აღწერილი. მაგალითად, შედეგი 2: **გაიაზრებს** და კრიტიკულად **აანალიზებს** ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების, ფუნდამენტური და **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (შესაბამისი საგნები პროგრამაში არაა)** ძირითად პრინციპებს; შედეგი 4: **იყენებს** ინფორმაციულ ტექნოლოგიებს, **მულტიმედია სისტემებს (შესაბამისი საგნები პროგრამაში არაა)**, კომპიუტერულ სისტემებს და ქსელებს, პროგრამული ინჟინერიის და ვებ-ტექნოლოგიების პროგრამულ და ინსტრუმენტულ საშუალებებს მის წინაშე დასმული პრობლემების გადასაჭრელად.

პროგრამაში ვიწროდაა წარმოდგენილი ინფორმაციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საგანი, მაშინ როდესაც უსაფრთხოება ინფორმაციული ტექნოლოგიების მნიშვნელოვანი ცოდნის არეა, ამავდროულად პროგრამაში ძირითად საგნად წარმოდგენილია კონკრეტული დანიშნულების პროგრამული პაკეტის შესწავლა „მონაცემთა დამუშავება SPSS სისტემაში“, ან/და ისეთი საგნები

რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებით არაა მიჩნეული ინფორმაციული ტექნოლოგიების ძირითად ცოდნის არეზად (ღრუბლოვანი გამოთვლები, ნივთების ინტერნეტი...).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები.

რეკომენდაციები:

- ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსების ნუსხას დაემატოს ინფორმაციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ფუნდამენტური კურსი;
- სასწავლო კურსები „მონაცემთა დამუშავება SPSS სისტემაში“, „ღრუბლოვანი გამოთვლები“, „ნივთების ინტერნეტი“ გადანაცვლდეს ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- -

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაში შემავალი ძირითადი სწავლის სფეროს დარგობრივი სასწავლო კურსები (ძირითადი და არჩევითი ერთად), მათში აღწერილი სწავლის შედეგები უმთავრესად უზრუნველყოფენ პროგრამაში გაცხადებული სწავლის შედეგების მიღწევას (მეორე და მეოთხე შედეგებს ნაწილობრივ). პროგრამის სწავლის შედეგების რუკა იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რომელი კურსი უზრუნველყოფს კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევას და რა ხარისხით - გაცნობა, გაღრმავება, გამტკიცება. თითოეული კურსის სილაბუსში ასახულია კურსის სწავლის შედეგისა და პროგრამის სწავლის შედეგის შესაბამისობა. კურსების მოცულობა შეესაბამება საბაკალავრო საფეხურისთვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

თუმცა რიგი კურსების სალექციო თემების შინაარსი სიღრმისეულობით ნაწილობრივ პროფესიული განათლების საფეხურის შესაბამისია (ქსელურ ტექნოლოგიებთან, მონაცემთა ბაზებთან, ვებთან დაკავშირებული საგნები).

სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალები ყველა სასწავლო კურსისთვის ვერ უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების მიღწევას (ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები - სახელმძღვანელოს

წარმოადგენს დაპროგრამების კონკრეტული ენის სახელმძღვანელოს, კალკულუსი - ძირითადი სახელმძღვანელოა უმაღლესი მათემატიკა ინჟინრებისათვის), რიგი სასწავლო კურსების სახელმძღვანელოები მომწოდებულია (მაგ. შესავალი მონაცემთა ბაზებში). რიგ სასწავლო კურსებში კი სასწავლო მასალებად მითითებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში არსებული ლოკალური ელექტრონული რესურსები (მაგ., ადამიანურ-კომპიუტერული ინტერაქციები).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები.

რეკომენდაციები:

- ქსელურ ტექნოლოგიების, მონაცემთა ბაზების, ვებთან დაკავშირებულ სასწავლო კურსებში შინაარსობრივად გაფართოვდნენ ცოდნის არის კონცეპტუალური საკითხებით;
- სასწავლო კურსებში „ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები“, „კალკულუსი 1 და 2“, „შესავალი მონაცემთა ბაზებში“ შეირჩეს შესაბამისი შინაარსის და სიახლის სახელმძღვანელო.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- -

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი

ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილ პროგრამაში აღწერილია პროგრამაზე დაშვების პირობები როგორც საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის. გაწერილია სტუდენტის სტატუსის მოპოვების ყველა შესაძლო პროცედურა დაწესებულებაში მოქმედი წესების შესაბამისად. პროცედურა ზოგადი სახისაა და არ ითვალისწინებს რაიმე დამატებით პროცედურებს რომელიმე კონკრეტული ცოდნისა და უნარების გამოვლენისათვის. კარგი იქნებოდა თუ ეროვნული გამოცდების მათემატიკის ან/და ფიზიკის კომპეტენციის ზღვარი აღმატებოდეს მინიმალურს და შესაბამისი ჩანაწერი გაკეთდეს პროგრამაში. სევე, პროგრამაზე სწავლის გაგრძელება შეუძლიათ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტებს. პროგრამაზე სწავლის გაგრძელება შესაძლებელია შიდა მობილობით, პროგრამაზე დაშვების პროცედურები გამჭვირვალე და სამართლიანია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია ეროვნული გამოცდების კომპეტენციის ზღვარი მათემატიკასა ან/და ფიზიკაში აღმატებოდეს მინიმალურს და შესაბამისი ჩანაწერი გაკეთდეს პროგრამაში.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პრაქტიკული უნარების განვითარება გათვალისწინებულია ცალკეულ სასწავლო კურსებში კონკრეტული პრაქტიკული ხასიათის პროექტების/დავალებების, ლაბორატორიული/პრაქტიკული სამუშაოების შესრულებით.

პროგრამის ფარგლებში სავალდებულო კომპონენტებს შორის გათვალისწინებულია პრაქტიკა 5 კრედიტის მოცულობით. პრაქტიკის ფარგლებში სტუდენტები იქნებიან პრაქტიკის ობიექტზე და წინასწარ განსაზღვრული პირობების მიხედვით განახორციელებენ მიღებული ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ გარემოში ადაპტაციას, განვითარებას და განმტკიცებას. პრაქტიკული სამუშაოს შესრულების შემდეგ შეავსებენ პრაქტიკის დღიურებს და სემესტრის ბოლოს წარმოადგენენ და დაიცავენ პრაქტიკის ანგარიშს.

სტუდენტთა პრაქტიკის ორგანიზების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა ორგანიზაციასთან.

წარმოდგენილი პროგრამა ახალია, ამიტომ ექსპერტების მხრიდან გასაუბრება განხორციელდა სხვა პროგრამების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. გასაუბრებიდან გაირკვა, რომ სტუდენტებს საშუალება ეძლევათ მონაწილეობა მიიღოთ სტუდენტურ კონფერენციებში და დაწესებულების სხვადასხვა ღონისძიებებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი / შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაში არსებულ სასწავლო კურსთა უმრავლესობაში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები მრავალფეროვანია და შერჩეულია ამ სასწავლო კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით. სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო ამოცანის შესაბამისად, გამოიყენება ვერბალური, წიგნზე მუშაობის, წერიტი მუშაობის, დემონსტრირების, პრაქტიკული შემთხვევის ანალიზის, პრობლემაზე

დაფუძნებული სწავლების, ინდუქციური, დედუქციური, ანალიზის, სინთეზის, ჯგუფური მუშაობის, თანამშრომლობითი, ევრისტიკული, გონებრივი იერიშის, ქმედებაზე ორიენტირებული, შედარებითი მეთოდები.

თითოეული სასწავლო კურსის შესწავლა მოიაზრებს რამდენიმე მეთოდის გამოყენებას - სასწავლო კურსის შინაარსის სპეციფიკის, სასწავლო კურსის მიზნებისა და შედეგების გათვალისწინებით. პროგრამის დარგობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე მრავლადაა გამოყენებული პრაქტიკული შემთხვევის ანალიზის, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდები, რაც ასახულია კონკრეტული სასწავლო კურსების სილაბუსებში.

სასწავლო კურსების შესწავლას და სწავლის შედეგების მიღწევას ხელს შეუწყობდა სილაბუსების სალექციო გეგმაში, ყოველი თემის შესაბამისად ცხადად მითითებული სასწავლო მასალა, თავებისა და გვერდების მითითებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სასწავლო კურსების სილაბუსები.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სასწავლო კურსების სილაბუსების სალექციო გეგმაში, ყოველი თემის შესაბამისად, ცხადად მიეთითოს სასწავლო მასალა, თავებისა და გვერდების მითითებით.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილ პროგრამაში სტუდენტების შეფასება ხდება დაწესებულებაში დადგენილი პროცედურების მიხედვით. შეფასება არის სამართლიანი და შეესაბამება საუნივერსიტეტო რეგულაციებს და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

სტუდენტი ვასდება 100-ქულიანი სისტემით. სასწავლო კურსის სილაბუსში დეტალურად არის გაწერილი შეფასების ფორმები და კრიტერიუმები. სასწავლო კურსებში გამოიყენება შეფასების შემდეგი ფორმები: ზეპირი/წერიითი გამოცდა, ზეპირი/წერიითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით შეფასების ფორმებს და კრიტერიუმებს ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები.

შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) შუალედური და დასკვნითი ფორმისთვის დადგენილია შეფასების ხვედრითი წილი (მაქსიმალური შესაძლო ქულა) და მინიმალური კომპეტენციის ზღვარი

(ხვედრითი წილი). ინფორმაცია შეფასების სისტემის შესახებ ასახულია პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში, სადაც ასევე მითითებულია შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და შეფასების ქულათა რანჟირება.

შეფასების პროცედურის გამჭვირვალობისა და სტუდენტის ინფორმირებულობის, ასევე, შედეგებზე კონტროლის მიზნით ტარდება სისტემატიურად ინფორმაციის შესწავლა და ანალიზი. დაწესებულებაში არსებობს შეფასების გასაჩივრების მოქნილი და გამჭვირვალე სისტემა (წესი), რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის უკუკავშირის მიწოდებით მათ მიერ მიღწეულ მიზნებზე, ნაკლოვანებებსა და გაუმჯობესების გზებზე ინფორმირებას, რაც ასევე დასტურდება სხვა პროგრამების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვის შედეგებით. დაწესებულებაში მოქმედი შეფასების გასაჩივრების მექანიზმი სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას სურვილის შემთხვევაში, გაასაჩივროს მიღებული ქულა და მოითხოვოს ნაშრომის კიდევ ერთხელ გასწორება/შეფასების გადახედვა, ასევე, სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ აკადემიური/მოწვეული პერსონალისგან იღებენ უკუკავშირს.

დაწესებულებაში შემუშავებულია სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებლის გამოვლენას და ანალიზს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4 სტუდენტების შეფასება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობა შეფასდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის მსვლელობისას მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

განსახილველი პროგრამა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილია როგორც ახალი პროგრამა, შესაბამისად, პროგრამას ჯერ არ ჰყავს აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები. აქედან გამომდინარე, სტუდენტის საკონსულტაციო და მხარდაჭერი სერვისების შესახებ ვიზიტის მსვლელობის დროს ინფორმაცია მივიღეთ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისგან.

ვიზიტისას მიღებული ფაქტობრივი ინფორმაციისა და სტუდენტების უკუკავშირის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროგრამის განხორციელების პროცესში უზრუნველყოფილი იქნება ის ძირითადი საჭიროებები, რომლებიც განაპირობებენ სტუდენტზე ორიენტირებული, კეთილგანწყობილი, გამართული და ჯანსაღი გარემოს არსებობას, რაც უპირველესად გულისხმობს სტუდენტებთან აქტიური კომუნიკაციის გზით (კომუნიკაციის პროცესი მოიცავს როგორც ფიზიკურ სივრცეში განხილვებსა და უკუკავშირებს, ასევე ონლაინ მიწოდებულ კითხვარებს საჭიროებების შესახებ, მეილით კომუნიკაციასა და შიდასაუნივერსიტეტო პორტალს, რომელიც სტუდენტთა ინფორმირებულობასა და მხარდაჭერას ემსახურება) მათ აქტიურად ჩაბმას დაწესებულებაში მიმდინარე პროცესებში. სტუდენტებს აქვთ თავისუფლება და მათზე მორგებული შესაძლებლობა სასურველი გზით კომუნიკაციის წარმოებისა, როგორც აკადემიურ პერსონალთან, ასევე ადმინისტრაციასთან. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ ზოგადი ინფორმაცია სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე. სტუდენტებთან ინტერვიუების დროს, აღინიშნა, რომ მათ მიერ შესრულებული ნაშრომების შეფასებასა და ამ შეფასების კრიტერიუმებზე აქვთ შესაძლებლობა მიიღონ უკუკავშირი, პირადად მოისმინონ და განიხილონ იგი. დაწესებულება უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის ინდივიდუალური საჭიროებების, სერვისების იდენტიფიცირებასა და შეთავაზებას, მათ მაქსიმალურ ინფორმირებას, მიმდინარე პროექტების, პროგრამების, არსებული სიახლეების შესახებ (უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის ვებ. გვერდისა და სოც. ქსელების საშუალებით), რაც სტუდენტთა განვითარებას, მათი ინტერესების გათვალისწინებასა და ინოვაციების დანერგვას ემსახურება. აღნიშნული დადასტურდა სტუდენტებთან ინტერვიუების დროსაც.

მნიშვნელოვანია დაწესებულების მიერ სტუდენტებისთვის შეთავაზებული კონსულტაციები კარიერულ განვითარებასა და პროფესიულ ორიენტაციაზე, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების მზაობას პროფესიულად განვითარდნენ და დასაქმების ობიექტები სწორად შეარჩიონ. დაწესებულების მიერ გაფორმებული მემორანდუმები (თანდართული დოკუმენტაცია) ადგილობრივ

დამსაქმებლებთან მნიშვნელოვანი წვლილის შემტანია სტუდენტების პრაქტიკული უნარჩვევების განვითარებისა და შემდგომი დასაქმების პერსპექტივის თვალსაზრისით. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად, დაწესებულება სტუდენტებს სთავაზობს განმავითარებელ აქტივობებს, როგორცაა ტრენინგები, საორიენტაციო შეხვედრები, რაც ნათლად გამოჩნდა ინტერვიუებიდან და უნივერსიტეტის ვებგვერდიდან. თუმცა, უშუალოდ განსახილველი პროგრამის შემთხვევაში როგორ წარმართება აღნიშნული პროცესები, ცხადად არ ჩანს. ასევე, პერსონალის დატვირთვისა და მათ სამუშაოს აღწერაში ბუნდოვანია რა როლი ექნებათ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს კონსულტაციებისა და მხარდაჭერის გაცემის პროცესში როგორ იქნება ამ კუთხით ფუნქცია-მოვალეობები გადანაწილებული.

რაც შეეხება საუნივერსიტეტო ტექნიკურ სერვისებსა და და სწავლებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზას, ინფრასტრუქტურას, რომელიც სტუდენტებისთვის წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მამოტივირებელსა და მამომრავებელ ფაქტორს, უნდა ითქვას, რომ იგი დამაკმაყოფილებელია - სტუდენტთა ლაბორატორიები აღჭურვილია საჭიროებისამებრ და მორგებულია სტუდენტების ინტერესებზე.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დაწესებულების სასწავლო გარემო, პირობები, პროგრამის სასწავლო გეგმა, მათივე საჭიროებების გათვალისწინებით, მორგებულია აფხაზი სტუდენტების სასწავლო გარემოში ადაპტაციასა და საუნივერსიტეტო სივრცეში სრულფასოვანი ინტეგრაციის ხელშეწყობაზე, რათა მათ თავი იგრძნონ უსაფრთხო და ჯანსაღ გარემოში. დაწესებულება ზრუნავს აფხაზი სტუდენტების პიროვნულ, აკადემიურ განვითარებასა და მხარდაჭერაზე, რაც, როგორც სტუდენტების ინტერვიუებიდან იკვეთება, გულისხმობს დასაქმებისთვის აუცილებელი ზოგადი უნარ-ჩვევების განვითარებაში მხარდაჭერას, პროფესიული და სოციალური უნარების რეალიზების ხელშეწყობას.

ამდენად, რელევანტური იქნება დავასკვნათ, რომ სტუდენტებს აქვთ უზრუნველყოფილი შესაძლებლობა მათი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი. მათ ეძლევათ შესაბამისი ინფორმაცია და საჭირო რეკომენდაციები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო კურსების სილაბუსები;
- დაწესებულების ვებგვერდი;
- სტუდენტთა პორტალი;
- ვიზიტისას გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- -

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	
თანაფარდობა	

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულების მიერ შედგენილია გუნდი, რომელიც შედგება როგორც უშუალოდ დაწესებულების აკადემიური პერსონალისაგან, ასევე მოწვეული სპეციალისტებისგან. მიუხედავად იმისა, რომ დარგის წარმომადგენელი დაწესებულების აკადემიური პერსონალთა უმრავლესობა ისევე, როგორც მოწვეული დარგობრივი სპეციალისტები, შესაბამის კვალიფიკაციას და გამოცდილებას ფლობენ, ისინი დასაკმეებლნი არიან როგორც სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში მათ შორის აკადემიურ პოზიციებზე, ასევე სხვადასხვა ორგანიზაციებში. ამ საგანმანათლებლო დაწესებულებების და ორგანიზაციების აბსოლუტური უმრავლესობა მდებარეობს თბილისში. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება ცალსახად შეფასდეს პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსებით პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფა.

პროგრამას ჰყავს სამი ხელმძღვანელი, მათგან ორი დარგის სპეციალისტია, რომელმაც გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში. ისინი არ არიან აფილირებულნი დაწესებულებასთან და სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში იკავებენ აკადემიურ თანამდებობასთან ერთად ადმინისტრაციულ პოზიციასაც.

დაწესებულებაში გამართული მენეჯმენტი სრულად უზრუნველყოფს სტუდენტების მომსახურებას სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი ⁶	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ⁷	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი

⁶ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

სულ აკადემიური პერსონალი	9	4	4	5
- პროფესორი	-	-	-	-
- ასოცირებული პროფესორი	6	4	4	3
- ასისტენტ-პროფესორი	-	-	-	-
- ასისტენტი	3	-	-	2
მოწვეული პერსონალი	12	9	6	-
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	-

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- ინტერვიუ შედეგები პროგრამის პერსონალთან.

რეკომენდაციები:

- პროგრამის მდგრადობისათვის აუცილებელია მოხდეს ადგილობრივი კადრის მოძიება ან/და მოხდეს არსებულ პერსონალთან შრომითი ხელშეკრულების იმ ფორმით ჩამოყალიბება, რომელც არ შეუქმნის პრობლემას პროგრამის განხორციელებას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია კანონმდებლობით ნებადართული ელექტრონული სწავლების შესაძლებლობის ფარგლებში, დაწესებულებაში მოქმედი ელექტრონული სწავლების მეთოდოლოგიისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენებით შემუშავდეს პროგრამის განხორციელების პროცესში ელექტრონული სწავლებისა და დანერგვისა და გამოყენების ხედვა.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1 ადამიანური რესურსი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და

⁷ ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			-
სამეცნიერო პერსონალი			-

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკრედიტაციაზე წარმოდგენილი პროგრამა ახალია, დარგობრივად შესაბამის სხვა პროგრამა დაწესებულებაში არ ხორციელდება, ამიტომ კონკრეტულად დარგის წარმომადგენელი პერსონალის შეფასება/განვითარების შესახებ ინფორმაცია ჯერ არ არსებობს. თუმცა დაწესებულებაში მოქმედებს რიგი წესები (როგორც აკადემიური/მოწვეული, ისე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისათვის) რომელთა შესაბამისად რეგულარულად ხდება პერსონალის საქმიანობის შეფასება.

დაწესებულება ჩართულია არაერთ საერთაშორისო პროექტში, თანამშრომლობს სხვადასხვა უცხოურ უნივერსიტეტებთან და ორგანიზაციებთან, როგორც სასწავლო ასევე სამეცნიერო მიმართულებით.

ინტერვიუს შედეგებით გამოიკვეთა, რომ პროგრამების განმახორციელებელ პერსონალს სისტემატურად მიეწოდებათ ინფორმაცია სხვადასხვა კონკურსებისა და აქტივობებში ჩართვის შესაძლებლობების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტები (დანართი 10) ;
- პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- -

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა უზრუნველყოფილია ყველა აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით. პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი დარგობრივი სასწავლო კურსებისთვის (თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის) გამოყოფილია კომპიუტერული კლასები. კომპიუტერული კლასები და ლაბორატორია აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკითა და სასწავლო კურსებისთვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფით, რაც სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისა და პრაქტიკული სწავლების (სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარების) საშუალებას იძლევა.

დაწესებულების ყველა სტუდენტს და თანამშრომელს საშუალება აქვს გამოიყენოს კომპიუტერული კლასები და ლაბორატორია მეცადინეობებისაგან თავისუფალ დროს სასწავლო/სამეცნიერო საქმიანობისათვის ან/და სხვადასხვა უნივერსიტეტთან დაკავშირებული პროექტების განსახორციელებლად.

დაწესებულებაში გამოყოფილია სხვადასხვა სივრცეები სტუდენტებისა და თანამშრომლებისათვის, სადაც შესაძლებელია როგორც გუნდური ასევე ინდივიდუალური საქმიანობა.

დაწესებულებას წვდომა აქვს საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზებთან (Scopus, Mendeley).

დაწესებულების ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი მრავალრიცხოვანია, მათ შორის წარმოდგენილია რიგი სახელმძღვანელოები საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიმართულებით, მაგრამ არასრულყოფილადაა უზრუნველყოფილი აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილ პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსები შესაბამისი სახელმძღვანელოებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ფაქტობრივი მდგომარეობა;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- შეივსოს საბინლიოთეკო ფონდი პროგრამის შესაბამისი სახელმძღვანელოებით ან/და რიდერებით (ბეჭდური ან/და ელექტრონული)

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- -

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის ბიუჯეტი განცალკევებულად არაა წარმოდგენილი. მისთვის განკუთვნილი ყველა ტიპის ხარჯები გათვალისწინებულია პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის ბიუჯეტში.

ბიუჯეტის ყოველ პუნქტში გაწერილი თანხები პროგრამის განმახორციელებელი ლექტორების, პროგრამისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მხარდაჭერა/განახლების, პროგრამაში ჩართული რაოდენობის სტუდენტთა სხვადასხვა აქტივობებსა და სხვა ღონისძიებების უზრუნველსაყოფად საკმარისია.

აღნიშნული ხარჯები უზრუნველყოფს პროგრამის მხარდაჭერას და შესაბამისად, პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მიღწევას. ასევე, არსებობს დაწესებულების ადმინისტრაციის მზაობა დამატებით უზრუნველყონ პროგრამის ფინანსრი მხარდაჭერა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ფაკულტეტის ბიუჯეტი
- ინტერვიუ დაწესებულების ადმინისტრაციასთან.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

○ -

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულებაში პროგრამის შემუშავების, შეფასების და განვითარების საკითხებს არეგულირებენ დოკუმენტები „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ და „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“. დაწესებულებაში მოქმედი წესების თანახმად:

- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა (შემდგომში - პროგრამა) უნდა შეესაბამებოდეს დაწესებულების მისიას და დაინტერესებული მხარეების (აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული მხარეები) კვლევის ანალიზს;
- შემუშავებულია პროგრამის სტანდარტი - დადგენილია მოთხოვნები პროგრამის სტრუქტურის და პროგრამის კომპონენტებზე კრედიტების გადანაწილებისადმი, განსაზღვრულია პროგრამის

კურიკულუმში მისათითებელი ინფორმაცია (პროგრამის დასახელება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სწავლების ენა, დაშვების წინაპირობები, პროგრამის მოცულობა კრედიტებში და სხვ.) და პროგრამის დანართად წარსადგენი დოკუმენტები (პროგრამის კომპონენტების სილაბუსები, ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელისა და განმახორციელებლების შესახებ). ასევე, დადგენილია მოთხოვნები პროგრამის კომპონენტის სილაბუსში მისათითებელი ინფორმაციისადმი (პროგრამის დასახელება, უმაღლესი განათლების საფეხური, პროგრამის კომპონენტის დასახელება, სტატუსი (სავალდებულო/არჩევითი), მოცულობა, წინაპირობები, მიზნები, შედეგები და სხვ.). შემუშავებულია პროგრამის კურიკულუმის და სილაბუსის უნიფიცირებული ფორმაბი;

- პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების პროცესში მონაწილეობენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, კარიერული განვითარების ცენტრი, შესაბამისი დარგის აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები;
- პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების პროცესს კოორდინაციას უწევს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, კარიერული განვითარების ცენტრი, პროგრამის ხელმძღვანელი ან/და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული (ფაკულტეტი);
- პროგრამების შემუშავება/მოდულიზაცია ეფუძნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციებს. მათ საფუძველზე რექტორი ავალებს ფაკულტეტის დეკანს პროგრამების ფარგლებში სამუშაო ჯგუფის შექმნას (შემადგენლობას განსაზღვრავს ფაკულტეტის საბჭო), ასევე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს - სამუშაო ჯგუფთან თანამშრომლობას;
- დასრულებული მასალა და მომზადებული მასალები წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს, რომელიც ამ მასალებს შესასწავლად გადასცემს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, შეისწავლის მის მიერ შემუშავებულ დასკვნას/შეფასებას და შემდომ პროგრამას დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.

აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი პროგრამა შემუშავდა ზემოთ მითითებული წესების შესაბამისად. კერძოდ, დაწესებულების რექტორის ბრძნებით (#01-01/03, 04.04.2021) და ფაკულტეტის საბჭოს დადგენილებით (#16, 14.04.2021; ცვლილებები: #43, 22.12.2021) შეიქმნა სამუშაო ჯგუფი (პროგრამის ხელმძღვანელები, ჯგუფის ხელმძღვანელები; აკადემიური და მოწვეული პერსონალის წარმომადგენლები, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელი, დამსაქმებელი, დაწესებულების კურსდამთავრებული). თვითშეფასების ანგარიშის თანახმად და თვითშეფასების (სამუშაო) ჯგუფის წევრთა განმარტებით, სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა სამოქმედო გეგმა, განსაზღვრა შესასრულებელი აქტივობები, შესრულების ვადები და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. ინტერვიუში მონაწილე პირებმა (სამუშაო ჯგუფის წევრები, პროგრამების ხელმძღვანელები და განმახორციელებლები) აღნიშნეს, რომ სამუშაო პროცესში ტარდებოდა სისტემატური შეხვედრები, ეტაპობრივად განიხილებოდა შესრულებული და შესასრულებელი სამუშაო, შესწავლილ იქნა უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნები და შრომის ბაზრის მოთხოვნები, განხორციელდა პროგრამის შიდა და გარე შეფასებები, მომზადდა პროგრამა, შეივსო აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და შეგწოვდა მისი დანართები. დასრულებული დოკუმენტები წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს და შესასწავლად გადაეცა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რის შემდგომ პროგრამა განიხილა და დაამტკიცა აკადემიურმა საბჭომ.

სამუშაო ჯგუფის წევრებმა აღნიშნეს, რომ სამუშაო პროცესში მათ მხარდაჭერა გაუწია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა - პროგრამის შემუშავების პროცესში ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები, კონსულტაციები და სხვ. მიუხედავად ამისა, ინტერვიუში მონაწილე პროგრამის პერსონალი ფლობდა მხოლოდ ცალკეულ ინფორმაციას ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესახებ. აღნიშნული გარკვეულწილად განპირობებულია იმით, რომ პროგრამა ახალია და ინტერვიუში მონაწილე პროგრამის პერსონალი ამ ეტაპზე ვერ იქნებოდა ჩართული ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში. თუმცა, პროგრამის გუნდს, ასევე, არ ჰქონდა მკაფიო წარმოდგენა იმ

მექანიზმის (კერძოდ - სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის) შესახებ, რომელიც იყო გამოყენებული პროგრამის შემუშავების ეტაპზე, რაც დასტურდება თვითშეფასების ანგარიშით (გვ. 11 - „პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის“) და დოკუმენტით „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, სწავლის შედეგების შეფასება“ (მ.3. - „პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისათვის დადგინდა სამიზნე ნიშნული, რომელიც ასახავს მოლოდინს, თუ რა დონით მიაღწევენ სტუდენტები თითოეულ სწავლის შედეგს“). აქვე აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი“ დასახვეწია - რამდენიმე შედეგის შემთხვევაში გაუგებრობას იწვევს შედეგის ფორმირებაში მონაწილე ცალკეული სასწავლო კურსები და სამიზნე ნიშნულების განსაზღვრისთვის მათი გამოყენების რელევანტურობა (იხ. მაგ., მ.3., შედეგები #1-3).

ინტერვიუში მონაწილე პირებმა (სამუშაო ჯგუფის წევრები, პროგრამების ხელმძღვანელები და განმახორციელებლები) აღნიშნეს, რომ სამუშაო პროცესში ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ინფორმაცია, მათ შორის მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსების არსებობა/საკმარისობა. დასმულ კითხვაზე, როგორ განხორციელდება პროგრამა იმ პერსონალის მიერ, რომელიც ამ ეტაპზე აქტიურ საგანმანათლებლო საქმიანობას ეწევა საქართველოს (ძირითადად, თბილისის) სხვადასხვა უსდ-ებში, ექსპერტებს მიეცათ განმარტება, რომ არსებობს პერსონალის მზაობა სისტემატურად (მაგ., კვირაში ერთხელ) ჩამოვიდნენ დაწესებულებაში და ჩაერთონ სასწავლო პროცესში, რაც ასევე, დაადასტურა ინტერვიუში მონაწილე პროგრამის პერსონალმა. ამ ეტაპზე პროგრამა არ ხორციელდება, შესაბამისად, შეუძლებელია პერსონალის ამ მზაობის პრაქტიკულად რეალიზების დადასტურება/უარყოფა. თუმცა, პროგრამის მდგრადობისთვის ეს მნიშვნელოვანი გარემოება საჭიროებს დაწესებულების მხრიდან დამატებით შესწავლას - შესაძლო რისკების გათვალისწინებას და რისკების მართვის გეგმის შემუშავებას.

თვითშეფასების ანგარიშის (იხ. გვ. 5) თანახმად, „განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო დამსაქმებლების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების რეკომენდაციები სასწავლო კურსებთან, ლიტერატურასთან, სასწავლო დატვირთვისა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით“. იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამას არ ჰყავს სტუდენტები და კურსდამთავრებულები, დაისვა კითხვა: რა რეკომენდაციები იყო გაცემული სხვა პროგრამების სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მიერ და რატომ იყო ეს მნიშვნელოვანი პროგრამისთვის. ექსპერტებს განუმარტეს, რომ რეკომენდაციები ეხებოდა ძირითადად ლიტერატურის განახლებას და პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებას. აღნიშნული რელევანტურია დარგობრივი დამსაქმებლების მხრიდან, მაგრამ ნაკლებად რელევანტურია განსხვავებული დარგის პროგრამების სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მხრიდან. აღსანიშნავია, რომ ინტერვიუში მონაწილე დამსაქმებლებიდან მხოლოდ ერთმა დაადასტურა, რომ დაესწრო რამდენიმე შეხვედრას და იცნობდა პროგრამას. თუმცა, ასევე აღსანიშნავია, რომ ინტერვიუში მონაწილე ყველა დამსაქმებელი ადასტურებდა პროგრამის აქტუალობას.

თვითშეფასების ანგარიშის (გვ. 9) თანახმად, პროგრამის „სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას, ასევე გათვალისწინებულია ... უცხოეთისა და ჩვენი ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებების საუკეთესო პრაქტიკა“. ექსპერტთა მიერ იყო დასმული კითხვა: რომელი პროგრამები იყო შესწავლილი და როგორი იყო შესწავლის შედეგები. პასუხად, ინტერვიუში მონაწილე პირებმა (პროგრამის ხელმძღვანელებმა და განმახორციელებლებმა) დაასახელეს საქართველოს რამდენიმე უსდ-ს პროგრამა და აღნიშნეს, რომ საქართველოს ყველა უსდ იყენებს ერთსა და იმავე კანონმდებლობას და დარგობრივ მახასიათებელს და, შესაბამისად, პროგრამები ვერ იქნება განსხვავებული. უცხოეთის პროგრამებთან დაკავშირებით კი განმარტებები იყო რიგ შემთხვევაში ურთუერთგამომრიცხავი, რაც მეტყველებდა ინტერვიუში მონაწილე პირების არასაკმარის ინფორმირებაზე.

ზემოთ აღნიშნული გაემოებები მეტყველებს პროგრამის განმახორციელებლებისთვის დამატებითი საინფორმაციო შეხვედრების/ტრენინგების/სხვ. ჩატარების აუცილებლობაზე. წარმოდგენილი დოკუმენტების და ინფორმაციის შესწავლის, ასევე ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

ძლიერი მხარეები:

- პროგრამა აქტუალურია დამსაქმებლებისათვის, არსებობს დაწესებულების ხელმძღვანელის მხრიდან პროგრამის მხარდაჭერის მზაობა და დაწესებულების შესაძლებლობა უზრუნველყოს პროგრამის ფინანსური მდგრადობა (დასტურდება ინტერვიუს შედეგებით);
- დაწესებულებაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ქმნის პროგრამების შეფასების და განვითარების შესაძლებლობას (დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტებით);
- არსებობს პროგრამის პერსონალის მზაობა და მოტივაცია ჩაერთოს პროგრამის განხორციელებაში (დასტურდება ინტერვიუს შედეგებით);
- დაინტერესებული მხარეების დამოკიდებულებების კვლევის საკითხი მოწესრიგებულია ამ მიზნით შემუშავებული რეგულაციის დონეზე (დასტურდება დოკუმენტურად);
- სისტემატურად მიმდინარეობს სტუდენტების და კურსდამთავრებულების დამოკიდებულებების სისტემატური კვლევა, პოზიტიურია კურსდამთავრებულთა დამოკიდებულება დაწესებულებისა და მიღებული განათლებისადმი (დასტურდება სხვა პროგრამების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგებით);
- არსებობს პერსონალის დამოკიდებულებების შესწავლის, განვითარების და ხელშეწყობის მექანიზმები (მაგ., რექტორის ბრძანებით შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს/პასუხისმგებელ პირებს დაევალებათ აკადემიური პერსონალის საერთაშორისო სამეცნიერო კვლევით/საგრანტო პროექტებში ჩართულობის გაზრდის ხელშეწყობი აქტივობების ჩატარება, აკადემიური და მოქვეყნიერი პერსონალისთვის კურიკულუმის გარე აქტივობების შესახებ საინფორმაციო შეხვედრების გამართვა, ინგლისურ ენაში პერსონალის გადამზადება). (დასტურდება დოკუმენტურად და ინტერვიუს შედეგებით);
- ვებგვერდის მეშვეობით უზრუნველყოფილია დაწესებულებაში მოქმედი წესების, მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის, მექანიზმებისა და პროცედურების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და გამჭვირვალობა.

გასაუმჯობესებელი/სუსტი მხარეები:

- აუცილებელია პროგრამის გუნდს ჰქონდეს ერთიანი ხედვა როგორც პროგრამის, ასევე პროგრამის მიზნებისთვის შესწავლილი, მომზადებული და გამოყენებული ინფორმაციის შესახებ (დასტურდება ინტერვიუს შედეგებით). ამ მიზნის მიღწევას ხელს შეუწყობს, მაგალითად, პროგრამის გუნდისთვის სისტემატური შეხვედრების ორგანიზება, შეხვედრების შედეგების ანალიზი ან/და ვითარების გაუმჯობესებაზე მიმართული, დაწესებულების მიერ შემუშავებული სხვა მექანიზმები;
- აუცილებელია მოხდეს პროგრამის განხორციელებასა და მდგრადობასთან დაკავშირებული რისკების (პროგრამის ადამიანური რესურსების ნაწილში) შეფასება (რისკის ალბათობა, გავლენის ხარისხი, შესაძლო შედეგები), მათი პრევენციის/მინიმალიზაციის მექანიზმების/გეგმის შემუშავება და ამოქმედება (დასტურდება დოკუმენტურად - ინფორმაციით სხვა უსდ-ებში პერსონალის დატვირთვის შესახებ, ინტერვიუს შედეგებით);
- აუცილებელია პროგრამის პერსონალმა იცოდეს და იყენებდეს დაწესებულებაში მოქმედ ხარისხის უზრუნველყოფის, მათ შორის პროგრამის/პროგრამის კომპონენტის სწავლის შედეგების შეფასების, მექანიზმებს (დასტურდება დოკუმენტურად „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. სწავლის შედეგების შეფასება“ და ინტერვიუს შედეგებით). ამ მიზნის მიღწევას ხელს შეუწყობს, მაგალითად, პროგრამის პერსონალთან საინფორმაციო შეხვედრების/ტრენინგების გეგმის (განსახილველი საკითხების, ვადების, პასუხისმგებელი პირების მითითებით) შემუშავება და განხორციელება, პროგრამის პერსონალისაგან მიღებული

უკუკავშირის შესწავლა და რეაგირება ან/და ვითარების გაუმჯობესებაზე მიმართული, დაწესებულების მიერ შემუშავებული სხვა მექანიზმები;

- აუცილებელია იყოს უზრუნველყოფილი დამსაქმებლებთან და დარგის სხვა სპეციალისტებთან სისტემატური კომუნიკაცია, პროგრამისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში მათი ჩართულობის მექანიზმების ამოქმედება, მიღებული უკუკავშირის შესწავლა და გამოყენება (დასტურდება ინტერვიუს შედეგებით). ამ მიზნის მიღწევას ხელს შეუწყობს, მაგალითად, საინფორმაციო შეხვედრების გეგმის შემუშავება-განხორციელება, მიღებული უკუკავშირის შესწავლა და რეაგირება ან/და ვითარების გაუმჯობესებაზე მიმართული, დაწესებულების მიერ შემუშავებული სხვა მექანიზმები;
- ყურადღება უნდა მიექცეს პროგრამის დაგეგმვის და შეფასების მომწესრიგებელ და სხვა დოკუმენტებში (მათ შორის, პროგრამის კურიკულუმში) გამოყენებული ტერმინების რელევანტურობას (მაგ., „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“ და მისი დანართები - დასკორექტირებელია შედეგები „ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, დასკვნის უნარი, კომუნიკაციის უნარი, სწავლის უნარი, ღირებულებები“ „სპეციალობა“, „დამატებითი სპეციალობა“, „ძირითადი სპეციალობა/საგანმანათლებლო პროგრამა“ და ა.შ.) (დასტურდება დოკუმენტირად);
- ყურადღება უნდა მიექცეს დაწესებულების ვებგვერდზე (<http://www.zssu.ge/zssu2/node/37>) განთავსებული, უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების პერიოდულ განახლებას (დასტურდება დაწესებულების ვებგვერდით);
- კანონმდებლობით ნებადართული ელექტრონული სწავლების შესაძლებლობის ფარგლებში, დაწესებულებაში მოქმედი ელექტრონული სწავლების მეთოდოლოგიისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების საფუძველზე სასურველია დაწესებულებამ ჩამოაყალიბოს და გამოიყენოს პროგრამის განხორციელების პროცესში ელექტრონული სწავლებისა დაწესებულებისა და გამოყენების ხედვა (დასტურდება დოკუმენტირად და ინტერვიუს შედეგებით).

შეჯამების სახით აღსანიშნავია, რომ ძლიერი მხარეებისა და ხარისხის მართვის სისტემის სრულად გამოყენების, ასევე დაწესებულების მიერ სუსტი მხარეების კომპლექსურად შეფასებისა და მათი დაძლევის გეგმის არსებობის შემთხვევაში, იქნება შესაძლებელი ზემოთ მითითებული სუსტი მხარეების დაძლევა და სტანდარტის ამ კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიღწევა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის კურიკულუმი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ფაკულტეტის საბჭოს დადგენილება (#16, 14.04.2021; ცვლილებები: #43, 22.12.2021) სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“ და მისი დანართები (კურიკულუმის და სილაბუსის უნიფიცირებული ფორმები) <http://www.zssu.ge/zssu2/node/36>
- „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების წესი“. <http://www.zssu.ge/zssu2/node/36>
- „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. სწავლის შედეგების შეფასება“;
- შრომის და განათლების ბაზრის კვლევა (ინფორმაციული ტექნოლოგიები);
- პროგრამის გარე შეფასება;
- რექტორის ბრძანება (#01-01/68, 27.10.2022) აკადემიური პერსონალის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით დავალებების გაცემის შესახებ;
- გამოკითხვების ჩატარების წესი;
- „ქართული ფილოლოგიის“ საბაკალავრო, „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვა;

- „ქართული ფილოლოგიის“ საბაკალავრო და „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების და კურსდამთავრებულთა გამოკითხვა;
- ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- დაწესებულების ვებგვერდი <http://www.zssu.ge/zssu2/node/36>, <http://www.zssu.ge/zssu2/node/1384>
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- აუცილებელია პროგრამის გუნდს ჰქონდეს ერთიანი ხედვა როგორც პროგრამის, ასევე პროგრამის მიზნებისთვის შესწავლილი, მომზადებული და გამოყენებული ინფორმაციის შესახებ;
- აუცილებელია პროგრამის პერსონალმა იცოდეს და იყენებდეს დაწესებულებაში მოქმედ ხარისხის უზრუნველყოფის, მათ შორის პროგრამის/პროგრამის კომპონენტის სწავლის შედეგების შეფასების, მექანიზმებს;
- რეკომენდებულია პროგრამის პერსონალისთვის დაიგეგმოს და სისტემატურად ტარდებოდეს საინფორმაციო შეხვედრები/ტრენინგები, მათ შორის პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფისა და შეფასების საკითხებზე;
- აუცილებელია იყოს უზრუნველყოფილი დამსაქმებლებთან და დარგის სხვა სპეციალისტებთან სისტემატური კომუნიკაცია, პროგრამისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში მათი ჩართულობის მექანიზმების ამოქმედება, მიღებული უკუკავშირის შესწავლა და გამოყენება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- მიზანშეწონილი პროგრამის დაგეგმვის და შეფასების მომწესრიგებელ და სხვა დოკუმენტებში (მათ შორის, პროგრამის კურიკულუმში) დროულად დაკორექტირდეს და გამოირიცხოს დღეისათვის გაუქმებული ტერმინების გამოყენება (მაგ., პროგრამის შედეგები „ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, დასკვნის უნარი, კომუნიკაციის უნარი, სწავლის უნარი, ღირებულებები“, „სპეციალობა“, „დამატებითი სპეციალობა“, „ძირითადი სპეციალობა/საგანმანათლებლო პროგრამა“ და სხვ.);
- მიზანშეწონილია დროულად განახლდეს დაწესებულების ვებგვერდზე (<http://www.zssu.ge/zssu2/node/37>) განთავსებული, უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები;
- მიზანშეწონილია მოხდეს პროგრამის განხორციელებასა და მდგრადობასთან დაკავშირებული რისკების (პროგრამის ადამიანური რესურსების ნაწილში) შეფასება (რისკის ალბათობა, გავლენის ხარისხი, შესაძლო შედეგები) და მათი პრევენციის/მინიმალიზაციის მექანიზმების/გეგმის შემუშავება და ამოქმედება.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი პროგრამა ახალია, რაც გამორიცხავს როგორც აკრედიტაციის/ავტორიზაციის (ეროვნული და/ან საერთაშორისო) დროს მიღებულ რეკომენდაციების, ისე გარე ხარისხის შეფასების მექანიზმების რეგულარულად გამოყენების შესაძლებლობას.

ამ ეტაპზე გარე შეფასება განახორციელა დაწესებულებასთან არააფილირებულმა დარგის სპეციალისტმა - საქართველოს ერთ-ერთი უსდ-ს წარმომადგენელმა, რომელმაც დადებითად შეაფასა პროგრამა - ზოგადი მახასიათებლები, პროგრამის მიზნები და შედეგები, პროგრამის სტრუქტურა, სწავლებისა და შეფასების მეთოდები, რესურსები, სწავლის შედეგების რუკა, დასაქმების სფეროები და სხვ. (გარე შემფასებლის პოზიცია დასტურდება ოფიციალური წერილით). ინტერვიუს დროს პროგრამის ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, რომ პროგრამის შემუშავების პროცესში გაითვალისწინებულ იქნა ყველა მნიშვნელოვანი გარემოება, რაც წარმოადგენს გარე შემფასებლის მიერ პროგრამის დადებითად შეფასების საფუძველს.

ინტერვიუში მონაწილე დამსაქმებელთა უმეტესობამ არ დაადასტურა პროგრამის გარე შეფასებაში მონაწილეობა და არ იცნობდა პროგრამას (ერთ-ერთმა დამსაქმებელმა აღნიშნა, რომ პროგრამის კურსდამთავრებულს ექმება აქტუალური კომპეტენციები, რაც ხელს შეუწყობს მის ორგანიზაციაში (სკოლაში) დასაქმებას). თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ უკლებლივ ყველა დამსაქმებელი ადასტურებდა პროგრამის აქტუალობას და რეგიონისთვის მისი განხორციელების საჭიროებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გარე შემფასებლის ოფიციალური წერილი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია პროგრამის გარე შეფასება განახორციელოს რამდენიმე გარე შემფასებელმა, მათ შორის კურსდამთავრებულთა პოტენციურმა დამსაქმებლებმა, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სხვადასხვა ჭრილში შეფასების შესაძლებლობას, მიღებული შედეგების ვალიდურობას და მათ გამოყენებას პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 გარე ხარისხის შეფასება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი პროგრამა ახალია და ობიექტური გარემოებების გამო ვერ იქნებოდა გამოყენებული დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტებით განსაზღვრული მექანიზმების მნიშვნელოვანი ნაწილი. ამ ეტაპზე შეიძლება ზოგადად დადასტურდეს მოქმედი მექანიზმების არსებობის ფაქტი და მოხდეს იმ მექანიზმების აღწერა, რომელთა შესახებ ინფორმაცია იყო წარმოდგენილი ან გამოიკვეთა ინტერვიუს შედეგად. კერძოდ, დაწესებულებაში შემუშავებულ პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების საკითხებს აღწერს დოკუმენტი „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომლის თანახმად (მ.10, მ.11) - პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება PDCA პრინციპს. პროგრამის შიდა შეფასებას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომლის მიერ განხორციელებული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება მოიცავს სხვადასხვა ასპექტებს, მაგ., სასწავლო პროცესის, დროგრამის სწავლის შედეგების, საგამოცდო პროცესის და სხვ. მონიტორინგს. მონიტორინგისა და პროგრამის შედეგების კომპლექსური მაჩვენებლების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება (საჭიროების შემთხვევაში - პროგრამის მოდიფიცირება). პროგრამის ხელმძღვანელი ყოველი სემესტრის დასასრულს ამზადებს პროგრამის განვითარების შესახებ ანგარიშს ფაკულტეტის საბჭოზე წარსადგენად, რომელშიც აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად ანალიზებს პროგრამის განხორციელების ფაქტობრივ გარემოებას და აფიქსირებს პროგრამის შიდა და გარე შემფასებლების მიერ შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე განხორციელებულ ქმედებებს, რეკომენდაციების შეუსრულებლობის შემთხვევაში კი აღწერს ობიექტურ ხელისშემშლელ პირობებს. პროგრამის ხელმძღვანელის მიერ მზადდება 3-წლიანი თვითშეფასების ანგარიში, რომელიც ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვიზირების შემდეგ წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს, რის შემდეგ გადაეცემა დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს“. ასევე, ზემოთ მითითებული დოკუმენტის თანახმად:

- შიდა შეფასება ხორციელდება პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ის, აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. აქვე აღსანიშნავია, რომ სტუდენტების და კურსდამთავრებულების ჩართულობა ობიექტური გარემოებების გამო იყო შეუძლებელი, ხოლო დამსაქმებლების მიერ პროგრამის შეფასება იყო შესაძლებელი, თუმცა არ განხორციელებულა (არ დასტურდება დოკუმენტირად და ინტერვიუს შედეგებით).
- საჭიროების შემთხვევაში, პროგრამა იყენებს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას (სხვა უსდ-ებში დასაქმებული ქართველი და/ან უცხოელი კოლეგების მიერ). აღნიშნული მექანიზმი გამოყენებულია, რაც დასტურდება დაწესებულებასთან არააფილირებული დარგის სპეციალისტის ოფიციალური დასკვნით;
- ყოველი ძირითადი სასწავლო კურსის ბოლოს სტუდენტები ავსებენ კითხვარს სასწავლო კურსის შეფასების მიზნით. გამოკითხვის შედეგები გამოიყენება სასწავლო კურსის დასახვეწად. აღნიშნული მექანიზმის გამოყენება დასტურდება ინტერვიუში მონაწილეს სხვა პროგრამების სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მიერ;
- შემუშავებულია და გამოყენებულია კვლევებისათვის საჭირო კითხვარები. დანერგილია მათი დამუშავებისა და შედეგების განხილვის მეთოდოლოგია. კვლევა ტარდება Google-Drive-ის ფორმატით. აღნიშნული დასტურდება დოკუმენტით „გამოკითხვების ჩატარების წესი“ და მისი დანართებით, ასევე, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სხვა პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის, სტიდენტების და კურსდამთავრებულების გამოკითხვების ანალიზის დოკუმენტებით და ინტერვიუს შედეგებით. დადგენილია გამოკითხვების ჩატარების

პერიოდულობა, რაც დასტურდება ზემოთ მითითებულ დოკუმენტში არსებული ინფორმაციით (იხ. გვ. 28-29);

- პროგრამის შეფასება ხორციელდება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას, პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით. ამ ეტაპზე შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ აკრედიტაციაზე წარმოდგენილი პროგრამისთვის სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის ფაქტი.

გარდა ზემოთ ნითითებული გარემოებებისა, აღსანიშნავია ინტერვიუს შედეგებიც:

- იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა ახალია, მნიშვნელოვანი იყო ინფორმაციის მიღება დაწესებულებაში უკვე მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და მათი გამოყენების შესახებ. ინტერვის დროს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა დეტალურად ისაუბრა დაწესებულებაში მოქმედი მიდგომების, პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის, კონტროლისა და გაუმჯობესების მექანიზმების შესახებ. მათ შორის ხაზგასმით აღნიშნა პროგრამის შედეგების მიღწევის შეფასება და მიღებული შედეგების გამოყენება პროგრამის განვითარებისათვის და ისაუბრა უკვე ჩატარებულ შეფასებებზე. დასმულ კითხვაზე რა პერიოდულობით ხდება ამა თუ იმ მექანიზმის გამოყენება ექსპერტებს განემარტათ, რომ სტუდენტთა გამოკითხვები ტარდება სემესტრულად (აღნიშნული დაადასტურეს სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა), კურსდამთავრებულთა გამოკითხვები - ძირითადად (არაუგვიანეს) სწავლის დასრულებიდან 2 წლის შემდეგ, პროგრამის კომპონენტების შეფასება შესაბამისი სემესტრის დასრულებისთანავე, დანაჩენი აქტივობები - წლის განმავლობაში;
- დოკუმენტირებული ინფორმაციის არარსებობის გამო, მნიშვნელოვანი იყო პროგრამის შემუშავების პროცესში საუკეთესო პრაქტიკების გაზიარებისა და უცხოეთის პროგრამების შესწავლის შესახებ ინფორმაციის მიღება. თუმცა დასმულ კითხვაზე თვითშეფასების ჯგუფის, პროგრამის ხელმძღვანელებისა და განმახორციელებლების მიერ იყო გაცემული განსხვავებული, რიგ შემთხვევაში - ურთიერთგამომრიცხავი პასუხები (მაგ.: ლიეტუვას უსდ, ესტონეთის უსდ, ლიეტუვას და ესტონეთის უსდ-ები; პასუხი არ მაქვს, უცხოეთის უსდ-ს პროგრამები არ იყო შესწავლი);
- აღსანიშნავია დაწესებულების სტუდენტების და კურსდამთავრებულების პოზიტიური დამოკიდებულება დაწესებულების მიმართ, ინტერვიუში მონაწილე პირებმა დაადასტურეს როგორც გამოკითხვებში და სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობა, ისე მათი ინიციატივების მხარდაჭერა და სწავლის დასრულების შემდგომაც დაწესებულებასთან კავშირების შენარჩუნების სურვილი, რაც ხელს შეუწყობს მათ ჩართულობას პროგრამის შეფასების პროცესში და პროგრამის შემდგომი განვითარების შესაძლებლობას;
- ასევე, აღსანიშნავია დამსაქმებლების მაღალი დაინტერესება პროგრამის განხორციელებით, რაც ინტერვიუს დროს დაადასტურა ყველა დამსაქმებელმა. გარდა ამისა, მათ გამოთქვეს მზაოდა პროგრამის ამოქმედების შემდგომ მიიღონ მონაწილეობა პროგრამის ხელშეწყობის და განვითარების პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის კურიკულუმი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“ და მისი დანართები (კურიკულუმის და სილაბუსის უნიფიცირებული ფორმები) <http://www.zssu.ge/zssu2/node/36>
- „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების წესი“. <http://www.zssu.ge/zssu2/node/36>
- „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. სწავლის შედეგების შეფასება“;
- შრომის და განათლების ბაზრის კვლევა (ინფორმაციული ტექნოლოგიები);
- პროგრამის გარე შეფასება;

- გამოკითხვების ჩატარების წესი;
- „ქართული ფილოლოგიის“ საბაკალავრო, „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერონალის გამოკითხვა;
- „ქართული ფილოლოგიის“ საბაკალავრო და „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების და კურსდამთავრებულთა გამოკითხვა;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია შემუშავდეს ხარისხის უზრუნველყოფის სხვადასხვა მექანიზმების გამოყენების გეგმა (სქემა), რომელშიც იქნება მითითებული როდის, რა პერიოდულობით, ვის მიერ და ვისი ჩართულობით განხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ამა თუ იმ მეთოდის გამოყენება და ა.შ.
- რეკომენდებულია განხორციელდეს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს პროგრამების სრულყოფას, ინტერნაციონალიზაციას და გაცვლითი პროგრამების განხორციელების შესაძლებლობას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში): არ ერთვის

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

ინფორმაციული ტექნოლოგიები, ბაკალავრიატი


პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა მანანა ხაჩიძე



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

სახელი, გვარი, ხელმოწერა მაქსიმ იავიჩი



სახელი, გვარი, ხელმოწერა თამარ გვიანიშვილი



სახელი, გვარი, ხელმოწერა გიორგი დოლიძე

